1.6.1.1.3. ანტეფიქსის წარწერა წმიდა გიორგის მოხსენიებით ჩითახევის ეკლესიიდან და კვირიკეწმიდის მონასტერი, საქართველო. /თ. გოგოლაძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვ— ნული აკადემიის მოამბე. – 2019. – ტ. 13. – #1. – გვ. 182-187. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.
ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მოხსენიებული მისი ერთ-ერთი მოწაფის, ქრისტეფორეს მიერ დაარსებული კვირიკეწმიდის ლოკალიზაციის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებები არსებობდა. ქართული ნარატიული წყაროების მონაცემების გათვალისწინებით მეცნიერთა ერთი ნაწილი მას სოფელ საყუნეთთან მდებარე ნასოფლარ კვირიკესთან აიგივებს, მეორე ნაწილი ჩითახევის ცნობილ ეკლესიასთან, მესამე ნაწილი სოფელ ახალდაბის ახლოს მდებარე ფოთოლეთის ეკლესიასთან, ხოლო მეოთხე ნაწილი სოფელ ქვაბისხევის პირდაპირ მდებარე კვირიკეწმიდის სახელით ცნობილ სამონასტრო კომპლექსთან. ჩვენ ჩითახევის ანტეფიქსის წარწერისა და ფოთოლეთის ეკლესიის ნაკაწრის წარწერების შესწავლის შედეგად გამოვრიცხეთ ჩითახევისა და ფოთოლეთის ეკლესიების გაიგივება გრიგოლ ხანძთელის მოწაფის, ქრისტეფორეს მიერ დაარსებულ კვირიკეწმიდასთან. გარდა ამისა, მხედველობაში მივიღეთ ქართული ნარატიული წყაროების მონაცემები კვირიკეწმიდის სამონასტრო კომპლექსის შესახებ. წყაროებისა და ეპიგრაფიკული მასალის ურთიერთშეჯე- რების შედეგად გადავჭერით „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მოხსნიებული კვირიკეწმიდის ლოკალიზაციის საკითხი და მას მყარი არგუმენტების საფუძველზე ქვაბისხევის პირდაპირ მდებარე „კვირიკეწმიდის“ სახელით ცნობილ სამონასტრო კომპლექსთან ვაიგივებთ. აქედან გამომდინარე, სამონასტრო კომპლექსის აგების ქრონოლოგიას IX საუკუნის 40-იანი წლებით განვსაზღვრავთ. სურ. 1, ლიტ. 15.

ავტ.

1.6.1.1.4. სავაჭრო ურთიერთობები რომის იმპერიასა და იბერიის სამეფოს შორის ახ. წ. I-III სს-ში. /ქ. შავლაყაძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2020. – ტ. 14. – #1. – გვ. 155-159. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.
წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, სამთავროს სამაროვანზე (ყოფილი იბერიის სამეფო), კრამიტსამარხებში, 1938-1958 წლებში აღმოჩენილი იმპორტული მინის ჭურჭლის შესწავლას, მათი პარალელების მოძიებას და ამის საფუძველზე იბერიის რომის იმპერიასთან კავშირებისა და სავაჭრო ურთიერთობების იდენტიფიცირებას. სამთავროს სამაროვნის კრამიტსამარხები ახ.წ. I-III საუკუნეებს განეკუთვნება და ამ პერიოდის სამარხებს შორის რაოდენობით პირველ ადგილზე დგას. მინის სანელსაცხებლები და საცრემლეები ახ.წ. I-III საუკუნეებში იბერიაში, სავარაუდოდ სირიიდან არის შემოტანილი, რომელიც ამ დროს რომის იმპერიის გავლენის ქვეშ იყო. ყველა მათგანი საბერავი მილის გამოყენებით არის დამზადებული. იბერიის გარდა მსგავსი სანელსაცხებლები აღმოჩენილია რომის იმპერიის პროვინციებსა და მის შემოგარენში (მაგ. ჩრდილო შავიზღვისპირეთი, სამხრეთ კავკასია და ა.შ.). იმის გამო, რომ მცხეთა (იბერიის დედაქალაქი) აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელ, სავაჭრო გზაზე მდებარეობდა, სხვადასხვა ფუფუნების საგნები, როგორიცაა სურნელოვანი ზეთი სანელსაცხებლებით, წამლები და სუნამოები მინიატურული საცრემლეებით შემოდიოდა ადგილობრივი არისტოკრატიის კოსმეტიკური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. წინამდებარე ნაშრომში ნაჩვენებია, რომ სირიული იმპორტული მინის სანელსაცხებლები მცხეთაში სომხეთის გზით ხვდებოდა და შემდეგ ნაწილდებოდა იბერიის სხვადასხვა საქალაქო ცენტრებში. სურ. 2, ლიტ. 10.

ავტ.

1.6.1.1.5. ტიუდორების არქივში დაცული საინტერესო ცნობა და ქართველთა ბრძოლა წმინდა ადგილებისათვის. /გ. კალანდია/. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტე- ტის სამეცნიერო ჟურნალი სპექტრი. – 2020. – #3. – გვ. 148-151. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.